Tax and Legal Newsletter

bakertilly

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

- საქართველოს პარლამენტი განიხილავს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც, დღგ-სგან ჩათვლის უფლებით განთავისუფლება უნდა შეეხოს იმ მშენებლობებს, რომლებზეც მშენებლობის ნებართვის გაცემის კუთხით გარკვეული ტიპის ადმინისტრაციული წარმოებები დაწყებული იყო 2008 წლის 8 აგვისტომდე და ეს მშენებლობები ვერ დასრულდა, ამასთანავე 2008 წლის 8 აგვისტოს შემდგომ პერიოდში შეიცვალა საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი) ან განხორციელდა არსებული შენობის დემონტაჟი და გაიცა მშენებლობის ახალი ნებართვა.

კერძოდ, ცვლილების მიღების შედეგად, დღგ-სგან ჩათვლის უფლებით განთავისუფლდება უძრავი ქონების მიწოდება, აგრეთვე უძრავი ქონების მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ ქონებასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევა, თუ მიწოდებული უძრავი ქონება განთავსებულია იმ ობიექტში, რომელიც დააკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ა) ობიექტი 2008 წლის 8 აგვისტოსთვის ძალაში მყოფი მშენებლობის ნებართვით არის გათვალისწინებული;

ბ) ობიექტზე 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი) უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული იყო, მშენებლობის ნებართვა კი შემდგომ გაიცა;

გ) „ა“ ან „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ რომელიმე ობიექტზე 2008 წლის 8 აგვისტოს შემდგომ პერიოდში შეიცვალა საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი) ან განხორციელდა არსებული შენობის დემონტაჟი და გაცემულია მშენებლობის ახალი ნებართვა.

კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, მას ექნება უკუძალა და გავრცელდება 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

- საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ 2021 წლის 20 ოქტომბრის კანონპროექტით, იგეგმება რომ კოდექსს დაემატოს 32^1 და 81^1 მუხლები, რომლებიც შეეხება საქველმოქმედო დონაციის მიმღებ ორგანიზაციას, განსაზღვრავს დონაციის ოდენობას და მისი გადარიცხვის პირობეს. თავის მხრივ საქველმოქმედო დონაცია განიმარტება როგორც საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის შესაბამისი ნაწილი, რომელიც საშემოსავლო გადასახადის გადამხდელის ნებაყოფლობითი მოთხოვნითა და ინიცირებით, ხმარდება საქველმოქმედო დონაციის მიმღები ორგანიზაციის საქმიანობას, ამავე ორგანიზაციის მიერ მიღებული რეგისტრაციის ფარგლებში.

საქველმოქმედო დონაციის მიმღები ორგანიზაციად კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად ჩაითვლება ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად (მათ შორის რელიგიური ორგანიზაცია) და ასეთად რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, აქვს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის არანაკლებ 3 (სამი) წლის მანძილზე უწყვეტად წარმართვის გამოცდილება და ამავდროულად აგრეთვე აკმაყოფილებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საქველმოქმედო დონაციის მიმღებ ორგანიზაციად იურიდიული პირის რეგისტრაციას ახდენს შემოსავლების სამსახური. რეგისტრაციასთან, ერთად, საქველმოქმედო დონაციის მიმღებ ორგანიზაციას დაეკისრება ვალდებულებები და

პასუხისმგებლობები, კერძოდ, საქველმოქმედო დონაციის მიმღებმა ორგანიზაციამ შესაბამის საგადასახადო ორგანოს ყოველი წლის 1 აპრილამდე უნდა წარუდგინოს:

ა) ბოლო წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს საქმიანობის აღწერას;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული აუდიტორის მიერ დადასტურებული ბოლო წლის ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგებაზარალის ანგარიში).

ზემოთ ხსენებული დოკუმენტები უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის.

საგადასახადო კოდექსით საქველმოქმედო დონაციის მიმღები ორგანიზაციისთვის დაწესებული მოთხოვნების დარღვევის გამო საქველმოქმედო დონაციის მიმღები ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, ორგანიზაცია ვალდებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტში დააბრუნოს საქველმოქმედო დონაციით მიღებული სარგებლის ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული მოთხოვნების დარღვევასთან.

ცვლილების თანახმად, საქველმოქმედო დონაციის ოდენობა შეიძლება იყოს საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განაკვეთის, არაუმეტეს 2%, რომელიც შესაძლებელია საშემოსავლო გადასახადის გადამხდელის ნებაყოფლობითი მოთხოვნითა და ინიცირებით, საქველმოქმედო დონაციის სახით, უშუალოდ საშემოსავლო გადასახადის გადამხდელის ან დამსაქმებლის მიერ საგადასახადო ორგანოსათვის მიმართვით, გადარიცხულ იქნეს, საქველმოქმედო დონაციის მიმღები ორგანიზაციის მიერ მიღებული რეგისტრაციის ფარგლებში.

ცვლილების ამოქმედება მისი მიღების შემთხვევაში ამოქმედდება 2022 წლის 1 სექტემბრიდან.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, უმთავრეს პრობლემას, რის გამოც შემუშავდა კანონპროექტი განპირობებულია იმ მთავარი ფაქტორით, როგორიც არის „სოციალური ზრუნვის და სხვაგვარი საქველმოქმედო სერვისების არასაკმარისი მიწოდების მოცულობა, იმ მოწყვლად ფენაზე, რომელიც საჭიროებს სოციალურ თუ სხვაგვარ დახმარებას, რაც ვერ ხორციელდება არასაკმარისი ფინანსების გამო“. შესაბამისად კანონპროექტის მიღების შედეგად კანონმდებლის მიზანია, რომ უზრუნველყოფილი გახდეს გარკვეული ფინანსური რესურსების მობილიზება და იმ ორგანიზაციებში მოხვედრა, რომლებიც უზრუნველყოფენ უსასყიდლოდ სოციალური და საქველმოქმედო სერვისების გაწევას.

Contact information

Bakertilly Georgia
7 Bambis Rigi, 0105, Tbilisi.
(+995 32) 2438 999

office@bakertilly.ge
www.bakertilly.ge

This newsletter contains information about Legal, Tax and court practice latest updates. Every effort is made to provide accurate and complete information. However, Baker Tilly Georgia cannot guarantee that there will be no errors. These informational materials are not intended, and should not be taken, as legal or tax advice on any particular set of facts or circumstances. Please, contact our professionals for specific Tax or Legal issues.

Baker Tilly Georgia Ltd trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.